ახალი

ჯარიანთიადი

„მეფნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძვირს გული„

2018 წელი 26 მაისი № 5 № 8134

ჯარიანთიადი

87-ე წელი თქვენთან ერთად!

ელფოსტა

AxaliGantiadi@gmail.com

1918 წლის 26 მაისს 15 საათზე სეიმმა ამირეკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა დამოლოდ გამოაცხადა.

იმავე დღეს, 16 საათსა და 50 წუთზე კავკასიის მეფისნაცვლის უოფილ რეზიდენციაში საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომას ნოე ჟორდანიამ გააცნო „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი„ რომლის თანახმად გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა.



„მე ვარ ბოლშევიკი და ვარ მენშევიკი გენერალი ვარ ვარ, მე ქართველი გენერალი ვარ!„

გიორგი მაზნიაშვილი



გზის მოასფალტება სამთავისში

კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ სამთავისში გზის ასფალტირების სამუშაოები შიდა ქართლის რწმუნებულ-გუბერნატორმა აკაკი მაჭუტაძემ და კასპის მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ მერებაშვილმა დაათვალიერეს.

გზის სიგრძე 1 075 გრძივი მეტრია, რომლის სამუშაოებს ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული შპს "საგზაო სამშენებლო სამმართველო №1" აწარმოებს.

პროექტი ხორციელდება რეგიონალური განვითარების პროექტების ფონდის და მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით. გზის კეთილმოწყობაზე 602 876 ლარი დაიხარჯება.

გზის ირგვლივ მდებარეობს სამთავისი - კასპის ეპარქია და სამთავისის ტაძარი, სადაც მრევლთან და მოსახლეობასთან ერთად ტურისტებიც გადაადგილდებიან. ამდენად აღნიშნული გზის კეთილმოწყობა მნიშვნელოვანია.

სამუშაოების მიმდინარეობის ხარისხის ინსპექტირებას შ.პ.ს. "ოპტიმალ გრუპ +"-ი ახორციელებს.

ფაშიზმზე გამარჯვების დღეს

ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 73 წლისთავთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტში მცხოვრები ომის ვეტერანები, ადგილობრივი ხელისუფლების და საზოგადოების წარმომადგენლები გამარჯვების მემორიალთან შეიკრიბნენ.

ვეტერანებს მიესალმა კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით ლეონიძე, ომის ვეტერანთა კასპის კავშირის ხელმძღვანელი გოჩა კობაური.

ომის ვეტერანებმა გაიხსენეს საბრძოლო ეპიზოდები და დაღუპული თანამებრძოლები. შეკრებილმა საზოგადოებამ მემორიალიდან კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გადაინაცვლა, სადაც მათ გამარჯვების ამსახველი კინო კადრები წარმოუდგინეს.

ომის ვეტერანებს მიესალმნენ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მოსწავლეები.

კასპის მუნიციპალიტეტის მერიამ თითოეულ ვეტერანს ფულადი საჩუქარი გადასცა. დასასრულს ვეტერანებისათვის საზეიმო სადილი გაიმართა.

გენერალ მაზნიაშვილის დაბადების დღეს

6 მაისს სოფელ სასირეთში, გიორგი მაზნიაშვილის სახლ-მუზეუმში გენერლის დაბადებიდან 146 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა.

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ სოფელ სასირეთის საჯარო სკოლის მოსწავლეები და ამავე სკოლასთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლი "აისი".

ამ დღეს კიდევ ერთხელ გაიხსენეს დიდი მამულიშვილი, საბრძოლო ეპიზოდები გენერლის მხედრული ცხოვრებიდან, გაიხსენეს ის სასიკეთო საქმეები, რომელთა განხორციელებით საკუთარი კვალი დატოვა სოფელში. სხვათა შორის, ღონისძიებას ესწრებოდნენ გიორგი მაზნიაშვილის ნათესავები - გლურჯიძეები.

ქალთა საინფორმაციო ცენტრი კასპში

ქალთა საინფორმაციო ცენტრის დირექტორი ელენე (მაია) რუსეცკაია, ცენტრის ექსპერტები მაია კუპრავა-შარვაშიძე და თეა ჯალიაშვილი კასპის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს წევრებსა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს შეხვდნენ.

შეხვედრაზე იმსჯელეს მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის და მისი ანალიზის საფუძველზე (გამოკვეთილი საჭიროებების მიხედვით) გენდერული საბჭოს სამოქმედო გეგმის შედგენის შესახებ, რომელსაც კონსულტაციას ქალთა საინფორმაციო ცენტრი გაუწევს.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ დავით ლეონიძემ საინფორმაციო ცენტრის წარმომადგენლებს მადლობა გადაუხადა ნაყოფიერი და საინტერესო შეხვედრისათვის.

გურამიშვილის ქუჩაზე



ქალაქ კასპში გურამიშვილის ქუჩის საკანალიზაციო ქსელის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს.

60 795 ლარი ღირებულების პროექტის სამუშაოებს ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული შპს B&B ასრულებს.

მუნიციპალიტეტი ქალაქის საკანალიზაციო სისტემის მოწყობისა და რეაბილიტაციის სამუშაოებს ყოველწლიურად ატარებს. დაგეგმილია სამუშაოების გაგრძელება დარჩენილი ქუჩების საკანალიზაციო ქსელის მოსაწყობად.

გამოფენა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში

კასპის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში თექაზე მუშაობის შემსწავლელი წრის მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა მოეწყო. თექის წრე მეორე წელია რაც ფუნქციონირებს და მასში 12 მოსწავლეა გაერთიანებული.

- რამდენიმე თვეა, რაც ამ გამოფენისთვის ვემზადებოდით, გოგონები თავდაუზოგავად შრომობდნენ და განსაკუთრებით ემზადებოდნენ. თექაზე მუშაობა შრომატევადია, ცოტა ფანტაზია და მხატვრის თვალიცაა საჭირო, ჩვენს გოგონებს კი ეს არ აკლიათ - აღნიშნა პედაგოგმა ნინო ქენქაძემ. გამოფენა მრავალფეროვანი იყო: პეიზაჟები, საქართველოს კუთხეები, ტრადიციები, ქართული სახლი და ეზო, სამოსი.

ღონისძიება გაალამაზა მოსწავლე-ახალგაზრდო- ბის სახლის ხატვის წრის მოსწავლეთა ნამუშევრებმა, რომელიც მოსწავლეთა სიმღერის ფონზე მიმდინარეობდა. დამთვალიერებლები აღფროვანებულები იყვნენ წარმოდგენილი ნამუშევრებით.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

გრიგოლ ნათაძე



ლევან ნათაძე

ნერილი №2

პირველი კასპელი კანონმდებლები

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს ხელი მოაწერეს ...

გაზეთის წინა ნომერში მკითხველს გავაცანით დამფუძნებელი კრების წევრის, კასპის რაიონის მკვიდრის ნიკოლოზ კაციაშვილის ბიოგრაფია.

ამჯერად, გაგაცნობთ იმ კასპელ მოღვაწეებს, რომლებმაც საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს მოაწერეს ხელი.

გრიგოლ (გიგო) იასონის ძე ნათაძე დაიბადა 1878 წლის 16 იანვარს ტფილისის გუბერნიის გორის მაზრის სოფელ კასპში, ტფილისის მოქალაქის – „ხალხოსანი" იასონ ივანეს ძე ნათაძის ოჯახში.

სწავლობდა ტფილისის ქართულ სათავადაზნაურო გიმნაზიაში, საიდანაც 1892 წელს გადავიდა ვაჟთა მეორე გიმნაზიაში.

1898 წელს შევიდა კიევის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე; 1901 და 1902 წლებში სტუდენტურ დემონსტრაციებში მონაწილეობის გამო ორჯერ გარიცხეს უნივერსიტეტიდან.

1902 წელს სწავლა განაგრძო ჟენევის უნივერსიტეტში, თუმცა ერთი კურსის დასრულების შემდეგ უსახსრობის გამო სწავლა მიატოვა და სამშობლოში დაბრუნდა. ატარებდა კერძო გაკვეთილებს, თანამშრომლობდა პრესაში; იყენებდა ფსევდონიმს – „განბარიძე". იყო რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის წევრი. აქტიურად მონაწილეობდა 1905 წლის რევოლუციურ მოძრაობაში;

1905 წელს პოლიტიკური საბაბით დააპატიმრეს; მანიფესტის გამოცემის შემდეგ ციხიდან გაათავისუფლეს 1905 წლის 17 ოქტომბერს. 1907 წელს ექსტერნად დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტი. ამავე წლიდან მუშაობდა პედაგოგად ტფილისის ქართულ სათავადაზნაურო გიმნაზიაში;

როგორც „პოლიტიკურად არასაიმედო" პირს, არ მისცეს მასწავლებლობის საშუალება ტფილისში და მცირე ხნის შემდეგ, გადავიდა ქუთაისის ქართულ სათავადაზნაურო გიმნაზიაში. პარალელურად კითხულობდა ლექციებს „სახალხო უნივერსიტეტში"; იყო ქუთაისის დრამატული წრის გამგეობის წევრი.

1912 წელს დაბრუნდა ტფილისში, სადაც აგრძელებდა ლექციების კითხვას „სახალხო უნივერსიტეტში", მუშაობდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში.

1917 წლის 19-23 ნოემბერს მონაწილეობდა საქართველოს ეროვნული ყრილობის მუშაობაში, სადაც აირჩიეს ეროვნული საბჭოს წევრად.

1918 წლის 26 მაისს საბჭომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოაცხადა. ამავე დღეს ხელი მოაწერა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს.

1918 წლიდან იყო საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის მთავარი კომიტეტის წევრი. მუშაობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის განათლების სამინისტროში უმაღლეს და საშუალო სასწავლებელთა მთავარ გამგედ.

1919 წელს მიიწვიეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც კითხულობდა ლექციების კურსს დასავლეთ ევროპის ისტორიაში. 1919 წლის 12 მარტს აირჩიეს საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრად საქართველოს სოციალისტ - რევოლუციონერთა პარტიის სიით; იყო სარედაქციო კომისიის მდივანი, განათლების, სამანდატო, სარედაქციო და საფინანსო კომისიების წევრი. იმავე დღეს ხელის მოწერით დაადასტურა 1918 წლის 26 მაისს მიღებული საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი. არჩეული იყო დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის წევრად.

1921 წელს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპირების შემდეგ დარჩა საქართველოში და ჩამოშორდა პოლიტიკურ საქმიანობას.

1922-დან 1926 წლამდე იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დოცენტი.

1924 წლის 8 ივნისს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში;

1926 წლის 15 დეკემბერს გრიგოლ ნათაძე აირჩიეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორად, მუშაობდა მსოფლიო ისტორიის და პედაგოგიურ ფაკულტეტებზე. 1926-1950 წლებში იყო ჯერ ისტორიის, შემდეგ შუა საუკუნეების ისტორიის კათედრის გამგე.

1935 წელს მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი, 1941 წელს – მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის სტატუსი, 1947 წელს კი – პროფესორის სამეცნიერო ხარისხი.

შემდგომ წლებში, სხვადასხვა დროს მუშაობდა ამიერკავკასიის და საქართველოს კომუნისტურ უნივერსიტეტში, პედაგოგიურ ინსტიტუტში, ცენტრალურ არქივში, მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის თბილისის ფილიალში; იყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრი. გრიგოლ ნათაძე 50-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა და მრავალი სტატიის ავტორი გახლავთ. გამოცემული აქვს წიგნები: "პირველყოფილი კულტურა" (1920 წ.), "მსხვილი მიწათმფლობელობა უძველეს საბერძნეთში" (1923 წ.), "უძველეს საბერძნეთის ეკონომიური მდგომარეობა, როგორც კილონის აჯანყების საფუძველი" (1924 წ.), "ახალი პრობლემები ევროფეოდალიზმის ისტორიაში" (1925 წ.), "ნაპოლეონ I-ის დაწინაურების მიზეზები" (1927 წ.), "საზოგადოებათმცოდნეობის მეთოდოლოგიისა და მეთოდიკის საკითხები" (1931 წ.), "დასავლეთ ევროპის ფეოდალიზმის ისტორიაში" (1933 წ.). გრიგოლ ნათაძე ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა თბილისში, 1951 წლის 24 მაისს.

ლევან (ლეო) იასონის ძე ნათაძე დაიბადა 1880 წლის 16 ივნისს (ძველი სტილით) ტფილისის გუბერნიის გორის მაზრის სოფელ კასპში, ტფილისის მოქალაქის – „ხალხოსანი" იასონ ივანეს ძე ნათაძის ოჯახში.

მე-4 კლასამდე სწავლობდა ტფილისის სათავადაზნაურო სკოლაში, შემდეგ მე-8 კლასამდე თბილისის მესამე გიმნაზიაში.

სწავლობდა მოსკოვის უნივერსიტეტში; სტუდენტობის განმავლობაში სამჯერ იყო დაპატიმრებული სტუდენტურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის და ამავე მიზეზის გამო გარიცხეს უნივერსიტეტიდან.

მოგვიანებით დაამთავრა პეტროგრადის უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტი.

პარტიულ მუშაობაში ჩაერთო 1902 წლიდან; იყო რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრი; პროპაგანდისტი მუშათა წრეებში; ავრცელებდა პროკლამაციებს, ორგანიზებას უწევდა გაფიცვებსა და მანიფესტაციებს, წერდა მარქსისტული პრესისათვის (თავდაპირველად ჟურნალ „კვალში") პუბლიცისტურ, კრიტიკულ და სამეცნიერო-პოპულარულ წერილებს: "გეორგიელი ლეოს" „ბას" და „ლ"-ის ფსევდონიმებით.

1902 წლის შემდეგ კიდევ სამჯერ იყო პოლიტიკური საბაბით დაპატიმრებული და ორჯერ – თბილისიდან გასახლებული. პარალელურად მუშაობდა მასწავლებლად.

1905 წლიდან მუშაობდა რსდმპ „მენშევიკების" ფრაქციაში.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ კავკასიის დროებითმა მთავრობამ დანიშნა სამოსწავლო ოლქის კომისრად. ამავე პერიოდიდან იყო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური ბეჭდვითი ორგანოების – გაზეთ „ბორბას"-ს და „ერთობის" რედაქტორი.

1917 წლის 19-23 ნოემბერს მონაწილეობდა საქართველოს ეროვნული ყრილობის მუშაობაში, სადაც აირჩიეს ეროვნული საბჭოს წევრად.

1918 წელს იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის წევრი.

1919 წლის 12 მარტს აირჩიეს საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრად საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სიით;

ლევან ნათაძე იყო განათლების კომისიის თავმჯდომარე, საკონსტიტუციო, სარეგლამენტო და ხელოვნების კომისიების წევრი.

მან ხელისმოწერით დაადასტურა 1918 წლის 26 მაისს მიღებული საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი.

დასასრული გვ4.

ნერილი №2

პირველი კასპელი კანონმდებლები

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს ხელი მოაწერეს ...



რევაზ გაბაშვილი

რევაზ ალექსანდრეს ძე გაბაშვილი – პოლიტიკოსი, საზოგადო მოღვაწე და პუბლიცისტი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი. დაიბადა 1882 წლის 6 ნოემბერს ქ. თბილისში. ის ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, ეკატერინე გაბაშვილის უფროსი შვილი იყო.

1902 წელს მან დაამთავრა თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზია. შემდეგი სამი წელი ბელგიაში, ლიეჟის ელექტროტექნიკურ ინსტიტუტში სწავლობდა.

1905 წელს სწავლა მიატოვა, სამშობლოში დაბრუნდა და აქტიურად ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში. იყო სოციალ-ფედერალისტი. მონაწილეობდა 1905-1907 წლების რევოლუციაში, საქართველოს განმათავისუფლებელ მოძრაობაში. ამავე წლებში თანამშრომლობდა ქართველ სოციალისტ-ფედერალისტებთან. 1906 წელს წავიდა ემიგრაციაში.

რევაზ გაბაშვილი დაქორწინებული იყო მარიამ ცისკარიშვილზე, რომელთან ერთადაც პეტერბურგში საცხოვრებლად გაემგზავრა.

1907 წელს რევაზ გაბაშვილმა სწავლა განაგრძო პეტერბურგის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე (ქიმიის განყოფილება).

ბელგიაში სწავლის პერიოდი ჩაუთვალეს და მეორე კურსზე დასვეს, მეუღლე კი საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე ჩაირიცხა. ცოლ-ქმარი გულმოდგინედ სწავლობდა, შვილიც შეეძინათ და რომ არა შემთხვევა, რევაზ გაბაშვილი პოლიტიკას აღარ დაუბრუნდებოდა.

1910 წელს პეტერბურგში ლევ ტოლსტოის გარდაცვალებასთან დაკავშირებით სტუდენტთა გამოსვლები დაიწყო. უნივერსიტეტში თავის საქმეზე მისული რევაზ გაბაშვილი პოლიციის ალყაში მოჰყვა. მის ახსნა-განმარტებებს ყური არავინ ათხოვა, დააპატიმრეს, სამი თვით ციხეში ჩასვეს და უნივერსიტეტში სწავლა აუკრძალეს.

1911 წელს საქართველოში დაბრუნდა. დაიწყო აქტიური საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეობა. საფუძველი ჩაუყარა კოოპერაციულ მოძრაობას. შეიძინა და ქართველ გლეხებს უსასყიდლოდ გადასცა 52 ათასი დესეტინა მიწა.

1912 წელს გაბაშვილმა სხვებთან ერთად დააარსა და ხელმძღვანელობდა ჟურნალ „კლდეს". 1915 წელს ჟურნალის დახურვის შემდეგ თანამშრომლობდა გაზეთ „საქართველოში".

1914–1918 წლებში, I მსოფლიო ომის დროს გამოდიოდა გორის მაზრაში ტირიფონის ველზე სამხედრო პოლიგონის მოწყობის წინააღმდეგ.

1917 წლის 19-23 ნოემბერს მონაწილეობდა საქართველოს ეროვნული ყრილობის მუშაობაში, სადაც აირჩიეს ეროვნული საბჭოს წევრად.

1918 წლის 26 მაისს საბჭომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოაცხადა. რევაზ გაბაშვილმა ამავე დღეს ხელი მოაწერა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს.

რევაზ გაბაშვილი დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ გახდა პარლამენტის წევრი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ქვოტით.

1921 წელს ემიგრაციაში წავიდა, მეუღლე და სამი შვილი (ციალა, ალექსანდრე, გურამი) კი სამშობლოში დატოვა. ოთხ წელიწადს სტამბოლში ცხოვრობდა და სამეცნიერო მოღვაწეობას ეწეოდა. იცოდა ათამდე ენა - თურქული, სპარსული, ფრანგული, ინგლისური, ესპანური...

სტამბოლიდან საფრანგეთში ჩავიდა და პარიზში დასახლდა. პოლიტიკური შრომების გარდა, ისტორია-არქეოლოგიასა და ეთნოგრაფიაში მუშაობდა. ოჯახი საქართველოში დარჩა. ეწეოდა აქტიურ პუბლიცისტურ საქმიანობას.

1950-1960 წლებში რევაზ გაბაშვილი აქტიურად თანამშრომლობდა მიუნხენში, რუსულ და ინგლისურ ენებზე გამომავალ ჟურნალებში: ასევე ამერიკელ ქართველთა გაზეთში – „ქართული აზრი".

1967 წელს პარიზში ფრანგულად გამოსცა „L'apport de la race caucasienne dans la civilisation mondiale" („კავკასიური რასის წვლილი მსოფლიო ცივილიზაციაში"). თანამშრომლობდა ემიგრანტულ პრესასთან. ამავე დროს მუშაობდა ლიტერატურათმცოდნეობაში.

1959 წელს მიუნხენში გამოქვეყნდა მისი გახმაურებული მემუარები - „რაც მახსოვს". წიგნმა ქართული ემიგრანტული, განსაკუთრებით კი სოციალ-დემოკრატიული წრეების აღშფოთება გამოიწვია.

რევაზ გაბაშვილი 1969 წლის 14 მარტს, პარიზში, 87 წლის ასაკში გარდაიცვალა. დაკრძალულია ბანიოს სასაფლაოზე, ემიგრაციაში ცხოვრების თანამგზავრისა და მეუღლის ელისაბედ (ლიზა) ყიფიანის (1892-1963) გვერდით.

ვანო ჯახუა.

ლევან ნათაძე

დასასრული.

1921 წელს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპირების შემდეგ დარჩა საქართველოში და ჩაბმული იყო წინააღმდეგობის მოძრაობაში.

ლეო ნათაძე ტიფით გარდაიცვალა 1922 წლის 3 თებერვალს, დილის 6 საათზე, თბილისში, ტიფის ეპიდემიის დროს.

დაკრძალეს 6 თებერვალს საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში; ლეო ნათაძის დაკრძალვა დიდ ანტისაბჭოთა დემონსტრაციად იქცა.

მეოცე საუკუნის ოცდაათიან წლებში ქალაქის ხელისუფლებამ ლეო ნათაძის ოჯახს მოსთხოვა მისი ნეშტის პანთეონიდან გადასვენება. ოჯახმა საფლავის კვალი მოშალა და დაარწმუნა ხელისუფლება, რომ მოთხოვნა შეასრულა.

ლეო ნათაძის ვაჟის გარდაცვალების შემდეგ, როდესაც მისი დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალვა გადაწყდა, შთამომავლებმა მამის საფლავიც ხელახლა აღადგინეს.

ლაშა ზუბიაშვილის ნამუშევრების გამოფენა

გიორგი ხორგუაშვილის სახელობის კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის საგამოფენო დარბაზში ახალგაზრდა ფოტოხელოვანის, ლაშა ზუბიაშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა გაიხსნა.

გამოფენაზე იმყოფებოდნენ კასპის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატი საქართველოს პარლამენტში ირაკლი მეზურნიშვილი, მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს ხელმძღვანელები. ასევე ესწრებოდნენ საზოგადოების წარმომადგენლები, მოსწავლეები.

გამოფენა, რომელიც ერთ კვირას გაგრძელდა, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით გაიმართა.

ფოტოხელოვანმა 4 წლის განმავლობაში 4000 ფოტო გადაიღო. ის საქართველოს მასშტაბით მოძრაობს და იღებს პეიზაჟებს, კულტურულ და ისტორიულ ძეგლებს, პორტრეტებს.

2016 წელს გამართულ კონკურსში "მერას წავიღებდი ევროპაში" მისმა ფოტომ "პატარა საქართველო" გაიმარჯვა და სპეციალური ლიტერატურითა და საკუთარი ფოტოების ალბომით დაჯილდოვდა.

2017 წელს კი ტყეების საერთაშორისო დღის აღსანიშნავ ფოტოკონკურსზე წარდგენილი 1000 ნამუშევრიდან "ტოპ-20-ში" მოხვდა მისი ფოტო "ქვათახევის ტყე"...

გამოფენაზე სულ 70 ფოტო იყო წარმოდგენილი.

ლაშა ზუბიაშვილის ნამუშევრების პირველი პერსონალური გამოფენა გასული წლის 17 ნოემბერს საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა.

კასპის მუნიციპალიტეტის მერია წარმატებებს უსურვებს ახალგაზრდა ფოტოხელოვანს.

დალი კორკოლაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

გამოიწერეთ "ახალი განთიადი"

100 წლის შემდეგ

„ჩემი ხალხის სამშობლოო„

ყველა დროსა და სინამდვილეში თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის სურვილი აერთიანებდა, აძლიერებდა საქართველოს მომავალს. მომავალს, როგორც დროის ერთეულს და მომავალს შვილების ძალასა და სიყვარულში განფენილს.

30 წლის წინ ბარიკადებზე შეკრებილ ახალგაზრდობას ძალიან უნდოდა დამოუკიდებელ ქვეყანაში ცხოვრება, მაგრამ გულის სიღრმეში შეუძლებლად მიაჩნდა დიდი იმპერიის მარწუხებიდან თავის დახსნა. იმ 9 აპრილმა უხილავი ხიდი გადო 1918 წლის 26 მაისთან. აკი, მერაბ კოსტავამ დარბევის წინ თქვა: - როდის შევშინებივართ სამშობლოს თავისუფლებისთვის სისხლის ღვრას, იქნებ დღეს ჩვენი რიგია...

მაშინ ჯერ კიდევ იატაკქვეშეთში ვკითხულობდით, რომ - “1918 წლის 24 მაისს, ფრეილინის ქუჩაზე, ეროვნული საბჭოს რეზიდენციაში ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით გაიმართა ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა.

კრებაზე განიხილეს აკაკი ჩხენკელის მიერ 1918 წლის 23 მაისს გამოგზავნილი წერილი. სხდომა 24 მაისს, ღამის 11 საათზე გაიხსნა. აკაკი ჩხენკელის მიერ გამოგზავნილი წერილის შინაარსით, უნდა დაჩქარებულიყო საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება.



25 მაისს საღამოს 10 საათზე უნდა შეკრებილიყო ამიერკავკასიის სეიმი, რომელიც ამიერკავკასიის რესპუბლიკას დაშლილად გამოაცხადებდა. მოგვიანებით, სეიმის სომეხი და აზერბაიჯანელი დეპუტატების თხოვნით სხდომა გადაიდო.

26 მაისის დღის 12 საათისთვის ნოე ჟორდანიამ დააყენა წინადადება: საქართველოს დამოუკიდებლობა გამოეცხადებინათ მას შემდეგ, რაც სეიმი დაშლილად გამოაცხადებდა ამიერკავკასიის ფედერაციას. კენჭისყრის შედეგად საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას დაუყოვნებლივ, 25 მაისს ხმა მისცა ექვსმა წევრმა, 26 მაისს გამოცხადებას — ოთხმა წევრმა. 25 მაისს დამოუკიდებლობის გამოცხადება მაინც ვერ მოხერხდა რადგან დამოუკიდებლობის აქტის ტექსტი სრულყოფილი არ იყო და გადამუშავებას საჭიროებდა. აქტის ტექსტის გადამუშავება და მისი საბოლოო ვარიანტის მომზადება ნოე ჟორდანიას დაევალა. საბოლოოდ აქტი იურისტმა გვაზავამ შეადგინა და წინასწარ გააცნო ჟორდანიას. მასში გარდა ნაციონალური დებულებებისა, იყო შეტანილი სოციალური საკითხებიც: რვასაათიანი სამუშაო დღე, მამულების კონფისკაცია და სხვა. ჟორდანიამ ამოიღო სოციალური დებულებები, როგორც შესაძლო გამთიშველი ელემენტები და დატოვა მხოლოდ ნაციონალურ-პოლიტიკური საკითხები.

1918 წლის 26 მაისს გოლოვინის პროსპექტზე მდებარე კავკასიის მეფისნაცვლის ყოფილ რეზიდენციაში ამიერკავკასიის სეიმის უკანასკნელი სხდომა გაიმართა, რომელმაც ნაშუადღევის 3 საათზე ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა დაშლილად გამოაცხადა. იმავე დარბაზში, ნაშუადღევის 4 საათსა და 50 წუთზე ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომა გაიხსნა. მას 42 წევრი და 36 კანდიდატი ესწრებოდა. ნოე ჟორდანია სიტყვით გამოვიდა და მისი დასრულების შემდეგ წაიკითხა “საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი”.

ეროვნულმა საბჭომ დამოუკიდებლობის აქტი ერთხმად დაამტკიცა. ამავე სხდომაზე დაამტკიცეს სამინისტროების რაოდენობა და მთავრობის პერსონალური შემადგენ-



საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი

ლობა. ასევე მიიღეს გადაწყვეტილება საქართველოს ეროვნული საბჭოსთვის ეწოდებინათ საქართველოს პარლამენტი.

დამოუკიდებლობის აქტი დაადასტურა და ოფიციალურად გამოსცა საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ, პირველსავე სხდომაზე, 1919 წლის 12 მარტს. დამოუკიდებლობის აქტში ნათქვამი იყო:



1. ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენული უფლებების მატარებელია, ხოლო საქართველო — სრულფასოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

2. დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმაა — დემოკრატიული რესპუბლიკა.



3. საერთაშორისო ომებში საქართველო მუდმივად ნეიტრალური სახელმწიფოა.

4. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანაბრად უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს მიუხედავად მისი ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა.

5. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ქმნის ყველა პირობას მის ტერიტორიაზე მცხოვრები



ერების თავისუფალი განვითარებისათვის.

6. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზედ მოსახლე ყველა ერს.

7. დამფუძნებელ კრების შეკრებამდე მთელის საქართველოს მართვაგამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებული იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით, და დროებითი მთავრობა პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე.

ფოტოზე: საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი მიღებული 1918 წლის 26 მაისს ეროვნული საბჭოს მიერ.

დოკუმენტი ეკუთვნის საქართველოს პარლამენტს და დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში.

გაზეთი “ახალი განთიადი” მადლობას უხდის შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის მეორე განყოფილების უფროსს ივანე ჯახუას დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი მასალების მომზადებაში აღმოჩენილი დახმარებისათვის.

"საიდუმლო ფერთა მელოდია"

მაისის დასაწყისში ჩვენი ქალაქის კულტურის ცენტრში გაიმართა თეატრალიზებული შოუ კონცერტი სახელწოდებით "საიდუმლო ფერთა მელოდია".

ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ კასპის მუნიციპალიტეტის მერია და კულტურის სამსახური...

შოუს ორგანიზატორი, სცენარის, დეკორაციის, მუსიკალური გაფორმების და რეჟისურის ავტორი გახლდათ კასპის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანების სპეციალისტი ლუიზა ტატიაშვილი.

პატარა მსახიობების მონაწილეობით დადგმული თეატრალიზებული სანახაობა მაყურებელმა თბილად მიიღო, იყო ემოციები, შეძახილები და დადებითი განწყობა, დამსწრე საზოგადოება ტაშითა და აპლოდისმენტებით აჯილდოებდა სცენაზე გამოსულ შემსრულებლებს, მომღერლებსა და "პატარა თეატრალებს". მოწონება დაიმსახურეს პიესის მთავარი მოქმედი პირების შემსრულებლებმა, რომელთა შორის იყვნენ: ანა ხორგუაშვილი /არლეკინი/, ქეთი ჯინიყაშვილი /ცივი სამყაროს დედოფალი/, სალომე მიდელაშვილი /ანგელოზი/, გიორგი ხუციშვილი /პატარა ანგელოზი/, ლიზი ხუციშვილი /პრინცესა ფერია/ ... შოუ კონცერტი კიდევ უფრო დაამშვენა, სახალისო ელფერი შესძინა საღამოზე წარმოდგენილმა საკონცერტო გამოსვლებმა, მონაწილეობდნენ: ეთერ პაპიძე /ახალქალაქის სასოფლო კლუბის სპეციალისტი/, რომელმაც შეასრულა სიმღერები: "გიტარა ტირის", "მარტოობა" და "ქრიზანთემები", საინტერესო გამოსვლა ჰქონდა კასპელ სალომე მასიკაშვილსაც, მაყურებელი აპლოდისმენტებით ხვდებოდა ქვემო ჭალის კულტურის სახლთან /ხელმძღვანელი გიორგი ხასიშვილი/ არსებულ საესტრადო სიმღერების შემსრულებლებს,

რომელთა მიერ გაჟღერდა ცნობილი სიმღერები "გაზაფხული" და "ჰარალე"...

საესტრადო სიმღერებს ცვლიდა ქორეოგრაფიული და სამეჯლისო ცეკვები, ამჯერადაც მოიხიბლა მაყურებელი ქვემო ჭალის კულტურის სახლთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლის /"სხვილოელნი", ქორეოგრაფი ნინო პავლიაშვილი/ გამოსვლით, მაყურებელმა ტაშით დააჯილდოვა სამეჯლისო ცეკვების ჯგუფის წევრების /ხელმძღვანელი გიორგი მჭედლიშვილი/ "წეროების" მიერ შესრულებული ლათინოამერიკული ცეკვების პოპური, ევროპული ცეკვების პოპური და მოცეკვავე დუეტები.

მოკლედ, თეატრალიზებულმა შოუ კონცერტმა ყველას მოწონება დაიმსახურა, აღინიშნა ისიც, რომ პატარა მსახიობები მალე ისევ წარდგებიან კასპელი მაყურებლების წინაშე, რა თქმა უნდა, განახლებული და საინტერესო პროგრამით.

კასპის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანება.

"აღდგომიდან ამაღლებამდე"

უწმინდესის და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით ქვეყნის მასშტაბით აღდგომის

შემდეგ ყოველწლიურად იმართება ფესტივალი სახელწოდებით "აღდგომიდან ამაღლებამდე" – რომლის ფარგლებშიც მრავალი საინტერესო ღონისძიება ტარდება, იმართება კონფერენციები და შეხვედრები, ფოლკლორული საღამოები, კონცერტები... სწორედ ამ ყოველწლიური ფესტივალის გამოძახილი გახლდათ კასპის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის საეკლესიო სიმღერა-გალობის წრის /ხელმძღვანელი ლალი კალატოზიშვილი, პედაგოგი მარინე ნაგელიშვილი/ მოსწავლეთა ძალებით ორგანიზებული ღონისძიება "მარხვა სიწმინდისა და აღდგომა სიხარულისა".

ღონისძიებაზე მოწვეული იყვნენ სასულიერო პირები და მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების წარმომადგენლები, საჯარო სკოლების მოსწავლეები, განათლების, კულტურის მუშაკები, პედაგოგები და მშობლები... ეს სანახაობრივი საჩვენებელი ღონისძიება მოიცავდა მონაკვეთს დიდმარხვის მოსამზადებელი პერიოდიდან მაცხოვრის ბრწყინვალე აღდგომამდე. მოსწავლეებმა გამოსვლებში ყურადღება გაამახვილეს და განიხილეს დღესასწაულები, რომლებიც დიდმარხვის დროს აღინიშნება. ყველაზე საინტერესო იყო ბავშვების საუბრები, რომელიც შეეხო ქართველ წმინდანთა ცხოვრებასა და მოღვაწეობას... შემდეგ შეკრებილი დამსწრე საზოგადოება მთელი საათნახევრის განმავლობაში ისმენდა ქართულ საგალობლებს. საეკლესიო სიმღერა-გალობის წრის მოსწავლეებმა, რომელთა შორის იყვნენ: თეკლა ბერიანიძე, გიორგი პაიჭაშვილი, ანანო პაიჭაშვილი, თამარ პაიჭაშვილი, ნინი გოგიტიშვილი, ლიზი გოგიტიშვილი, მარიამ ხოჯავა, ლიზი ქერდიყოშვილი, ნინი ბერუაშვილი, მარიამ ინაშვილი, მარიამ მურღული, ანანო მურღული, ნინი შერმადინი, თამარ მოდრეკილაძე, ოვაციები და მოწონება დაიმსახურეს. შესრულდა პატრიარქის "წმინდაო ღმერთო" და "გიხაროდენ ფრიად შვენიერო", აგრეთვე სვანური "ქრისტე აღსდგა", "ჯვარსა შენსა", "ღვთისმშობელო ქალწულო გიხაროდენ", "ანგელოზი ღაღადებს" და სვანური "მრავალჟამიერი'.

მოსწავლეთა სახლის მგალობლების გამოსვლები დადებითად შეაფასეს სასულიერო პირებმა, რომელთა შორის იყვნენ დეკანოზი გიორგი /ხოჯავა /, მღვდელი გიორგი /მურღული/, დიაკონი ალექსანდრე /გუბელაძე/ და მორჩილი შავლეგი /შაქარაშვილი/...

– წლებია, ნაყოფიერ, საინტერესო და ნამდვილად საქებარ საქმიანობას ეწევა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სიმღერა-გალობის წრე, – აცხადებს კასპის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების დირექტორი ლალი ჯანჯალაშვილი, – მაგალითად, შარშან ჩვენი მოსწავლეები მონაწილეობდნენ მესამე ეროვნულ კონკურსში და იქიდან წამახალისებელი დიპლომებით დაბრუნდნენ, სხვათა შორის, მათ წელსაც ძალიან იაქტიურეს, მონაწილეობა მიიღეს ბავშვთა და ახალგაზრდულ საგუნდო კოლექტივების მეოთხე ეროვნული კონკურსის პირველ ტურში, გაიმარჯვეს საფინალო ტურშიც.

შეხვედრას ესწრებოდნენ: კასპის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე, საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის კასპის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე გიული სოზიაშვილი.

შეხვედრის დასასრულს დარბაზში შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით მიმართა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორმა ლელა პეტრიაშვილმა და უღრმესი მადლობა გადაუხადა სასულიერო პირებს ღონისძიებაზე მობრძანებისათვის.

კასპის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება.

წარმატებული საფეხბურთო სეზონი

ჭიდაობასთან ერთად კასპის რაიონში ფეხბურთი ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობს და სპორტის ამ გამორჩეული სახეობის მოყვარულთათვის კარგად არის ცნობილი აქ აღზრდილი ფეხბურთელების ვინაობაც, რომლებიც წლების მანძილზე თავის ოსტატობით ხიბლავდნენ /დღესაც გრძელდება ეს ტრადიცია/ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქის ფეხბურთის გულშემატკივრებს.

არაერთმა სპორტსმენმა ასახელა სამშობლო, ჩვენს რაიონში აღზრდილი და დაოსტატებული ზოგიერთი ფეხბურთელი საზღვარგარეთის გუნდებშიც გამოდიოდა... კარგ ტრადიციას, ახლა, რა თქმა უნდა, კასპის საფეხბურთო სკოლა /დირექტორი ავთანდილ ჯალალი/ წარმატებით აგრძელებს.

კასპელთათვის კარგად ცნობილი საფეხბურთო გუნდ "განთიადის" მწვრთნელ-სპეციალისტების შავლეგ მაჭარაშვილის, დავით კობაურის, ზაზა ჯალალის, მალხაზ ჯალალის ხელმძღვანელობით და ორგანიზებით "განთიადი-ს" სხვადასხვა ასაკობრივი გუნდები სისტემატურად მონაწილეობენ ქვეყნის მასშტაბით გამართულ ასაკობრივ ტურნირებსა თუ შეჯიბრებებში.

– წლების განმავლობაში კასპელთა საფეხბურთო მარათონმა არაერთხელ მიიქცია არა მარტო გულშემატკივრების, არამედ სპეციალისტების ყურადღებაც, – აცხადებს კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანების სპეციალისტი ტარიელ ბეგლარაშვილი, – ამიტომაც გასაკვირი არ უნდა იყოს მიმდინარე 2018 წლის წარმატებული საფეხბურთო სეზონი. საქმე ის გახლავთ, რომ კასპის საფეხბურთო სკოლის აღსაზრდელებმა ამჯერადაც ღირსეულად ჩაატარეს ამხანაგური მატჩები თბილისის, გორის, ხაშურის, ქარელის, რუსთავის გუნდებთან.

გთავაზობთ, მიმდინარე წლის საფეხბურთო სეზონის შედეგებს:

"მეშაქრე" /აგარა/ – "განთიადი 2003" /კასპი/ – 0:0

"განთიადი 2005" /კასპი/ – "ივერია 2" /ხაშური/ – 3:0;

"ივერია" /ხაშური/ – "განთიადი 2007" /კასპი/ – 3:11;

"განთიადი 2003" /კასპი/ – "შევარდენი" /ქარელი/ – 6:1;

"განთიადი 2005" /კასპი/ – "ივერია1" /ხაშური/ – 2:2;

"გორი" /გორი/ – "განთიადი 2007" /კასპი/ – 4:2;

"განთიადი 2007" /კასპი/ – "მეშაქრე" /აგარა/ – 4:1;

"განთიადი 2002" /კასპი/ – "ამერი" /თბილისი/ – 3:2;

"იბერია" /ქარელი/ – "განთიადი 2003" /კასპი/ – 3:8;

"გორი" /გორი/ – "განთიადი 2006" /კასპი/ – 3:1;

"განთიადი 2007" /კასპი/ – "ივერია" /ხაშური/ – 3:1;

"განთიადი 2002" /კასპი/ – "ფოლადი" /რუსთავი/ – 0:2;

"მერანი" /თბილისი/ – "განთიადი 2006" /კასპი/ – 5:6;

"საბურთალო" /თბილისი – "განთიადი 2004" /კასპი/ –5:1;

"გრანდი" /თბილისი/ – "განთიადი 2006 " /კასპი/ – 0:3;

თენგიზ სულაქველიძის საფეხბურთო აკადემია – "განთიადი 2002" 1:1;

"საბურთალო" /თბილისი/ – "განთიადი 2006" /კასპი/ – 2:0;

"ლოკომოტივი" /თბილისი/ – "განთიადი 2006" /კასპი/ – 3:0;

"გარეჯი" – "სამთავისი"/ – 3:3.

კასპის საფეხბურთო სკოლის მესვეურები იმედიანად არიან და აცხადებენ, რომ ახლა ფეხბურთელებისათვის საუკეთესო პერიოდია, რათა საწვრთნელი მომზადება მაქსიმალურად გამოიყენონ, სეზონი კარგი მაჩვენებლებით დაასრულონ.

ჩვენ ველოდებით წარმატებებს!

კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანება.

ღია საკლუბო ჩემპიონატი კასპში

ვინ გახდა „შიდა ქართლის თასი 2018„-ის ღია საკუთარი შეჯიბრების ჩემპიონი

შაბათს, 5 მაისს ჩვენი ქალაქის სპორტულმა კომპლექსმა /დირექტორი გოგი ნიპარიშვილი/ უამრავ სტუმარს უმასპინძლა...

საქმე ის გახლავთ, რომ საქართველოს სამეჯლისო და სპორტული ცეკვების ასოციაციის ინიციატივით ჩატარდა ღია საკლუბო ჩემპიონატი ეგიდით "შიდა ქართლის თასი 2018", რომლის მხარდამჭერები იყვნენ კასპის მუნიციპალიტეტის მერია, საკრებულო და მაჟორიტარი დეპუტატის საპარლამენტო ბიურო, აგრეთვე, მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახური, საინფორმაციო მხარდამჭერი გაზეთი "ახალი განთიადი".

ეს კულტურულ-სპორტული და დაუვიწყარი სანახაობა დილაადრიან დაიწყო და მასში მონაწილეობდნენ როგორც თბილისიდან მოწვეული, აგრეთვე, საქართველოს თითქმის ყველა რეგიონის სპორტულ-სამეჯლისო ცეკვების შემსრულებლები...

უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ღია საკლუბო ჩემპიონატს აფასებდა საქართველოს სამეჯლისო სპორტული ცეკვების ასოციაციის ცენტრის პროფესიონალ მსაჯთა კოლეგია /სულ 19 წევრი/ და გამოვლინდა გამარჯვებულები სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში, რასაკვირველია, ინდივიდუალურ, წყვილებსა და სპორტკლუბების შემსრულებლებს შორის და ცხადია, საპრიზო ადგილზე გასულ მოცეკვავეებს გადაეცათ შესაბამისი დიპლომები, მედლები და თასები... სხვათა შორის, ამ ლამაზი აღლუმის საზეიმო გახსნის პატივი წილად ხვდათ ცნობილი და პოპულარული ქორეოგრაფიული ანსამბლის "დიდგორის" მოცეკვავეებს, რომლებმაც თავიანთი საჩვენებელი გამოსვლით ნამდვილად მოხიბლეს "კოლეგები" და არა მხოლოდ ისინი, დიდგორელებმა, როგორც ყოველთვის ამჯერადაც შემართებით შეასრულეს ცეცხლოვანი ცეკვა "ჯუთა".

– ნიშანდობლივი გახლავთ ის ფაქტი, რომ ჩვენი ქალაქის სინამდვილეში, პირველად სწორედ კასპში ჩატარდა სამეჯლისო-სპორტული ცეკვების ღია საკლუბო ჩემპიონატი, – აცხადებს საქართველოს სამეჯლისო და სპორტული ცეკვების ასოციაციის მცხეთა-მთიანეთისა და შიდა ქართლის კურატორი, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის გაერთიანების სპეციალისტი გიორგი მჭედლიშვილი, – რომელშიც მონაწილეობდა სამასამდე მოცეკვავე /6 წლიდან, 22 წლამდე ასაკობრივი კატეგორია/, - მინდა მოგახსენოთ ისიც, რომ აღნიშნული ღონისძიების მთავარი მიზანია მოზარდებში ცნობიერების ამაღლება, სპორტისა და კულტურის პოპულარიზაცია.

და კიდევ, ღია საკლუბო ჩემპიონატი "შიდა ქართლის თასი 2018" – აქაურებისთვის სასიამოვნო მოულოდნელობით დასრულდა, რადგან კასპის სპორტულ სამეჯლისო ცეკვების ჯგუფ "წეროების"/ სულ 19 წევრი/ მოცეკვავეებმა, სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში, მოიპოვეს ხუთი თასი და გახდნენ "შიდა ქართლის თასი 2018"- ის ღია საკლუბო შეჯიბრების ჩემპიონები...

ასპარეზობის მონაწილე ყველა ასაკობრივ კატეგორიაში დაწესებული იყო საპრიზო ადგილები და რასაკვირველია, გამოვლინდნენ კიდეც პირველ, მეორე და მესამე ადგილებზე გასული შიდა ქართლის თასის მფლობელები.

საქართველოს სამეჯლისო სპორტული ცეკვების "შიდა ქართლის თასი 2018-"ის ღია საკლუბო ჩემპიონატის ორგანიზატორები და მოცეკვავეები მადლობას უხდიან გაწეული დახმარებისა და თანადგომისათვის კასპის მუნიციპალიტეტის მერს მანუჩარ მერებაშვილს, საკრებულოს თავმჯდომარეს დავით ლეონიძეს, მაჟორიტარ დეპუტატს ირაკლი მეზურნიშვილს, მერიის კულტურის სამსახურის ხელმძღვანელს თეა ხორბალაძეს, კულტურის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორს მიხეილ ქოსაშვილს და სპორტკომპლექსის დირექტორს გოგი ნიპარიშვილს.

კასპის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანება.

ივანე ჯავახიშვილი, ხოვლე და ქართული უნივერსიტეტი

"ივანე ჯავახიშვილი ბრძანდება ერთადერთი დამაარსებელი, სულის ჩამდგმელი და ერთადერთი რაინდი ჩვენი უნივერსიტეტისა, აქ მას ვერავინ შეემეტოქება და შეეზიარება"...

პეტრე მელიქიშვილი, უნივერსიტეტის პირველი რექტორი.



დიდი ივანე ჯავახიშვილის მშობლიურ სოფელ ხოვლეში, მისივე სახელობის სახლ-მუზეუმში სტუმარი არ ილევა, აქ იკრიბებიან საჯარო სკოლების მოსწავლეები, სტუდენტები და ახალგაზრდები, მეცნიერებისა და კულტურის ცნობილი მოღვაწეები, ეწყობა სამეცნიერო სესიები და კონფერენციები, საზეიმო შეხვედრები, კულტურული ღონისძიებები... სწორედ ამის ნათელი მაგალითი გახლავთ ამ რამდენიმე დღის წინ მუზეუმში ჩატარებული ღონისძიება, რომელიც მიეძღვნა დიდი მეცნიერის დაბადების დღისა და ქართული უნივერსიტეტის დაარსების საიუბილეო თარიღებს... ღონისძიებას ესწრებოდნენ კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანების წარმომადგენლები, ხოვლის საჯარო სკოლის მოსწავლეები, პედაგოგები და სოფლის აქტივის წარმომადგენლები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან საგანგებოდ მოწვეული სტუმრები.

— ქართველმა საზოგადოებამ წელს დიდი სიამაყით აღნიშნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებიდან ასი წლის იუბილე, რომლის ფუძემდებელი, სულისჩამდგმელი გახლდათ დიდი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ივანე ჯავახიშვილი, — ამ სიტყვებით მიმართა მოწვეულ სტუმრებს ხოვლის სახლ-მუზეუმის დირექტორმა მარინა კოშაძემ, — მერე კი, დიდი მეცნიერი თავად ჩაუდგა სათავეში თითქმის ყველა დარგის ისტორიის კვლევას, სწორედ მისი თაოსნობით აღორძინდა და განვითარდა ქართული მეცნიერება, ისტორიოგრაფია, პალეოგრაფია, დიპლომატიკა, ქართული სამართლის, ეკონომიკის და მუსიკის ისტორია, დადგინდა ქართველი ერის განვითარების ისტორიული ეტაპები და დაფუძნდა კლასიკური ფილოლოგია და ენათმეცნიერება. მის მეცნიერულ დამსახურებებსა და ღვაწლს დღეს ყველა აღიარებს და მიიჩნევს, რომ არა დიდი ივანე ჯავახიშვილი, საქართველოს არ ექნებოდა ესოდენ განვითარებული მეცნიერება და მეცნიერული ტერმინოლოგია.

ამ მცირე წიაღსვლის შემდეგ მუზეუმის დირექტორმა დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა ხოვლის საჯარო სკოლის მოსწავლეთა ჯგუფი /ხელმძღვანელები მარინე კოშაძე და ხოვლის საჯარო სკოლის ისტორიის პედაგოგი ლალი ბახტაძე/, რომელმაც დიდი ინტერესითა და საფუძვლიანად განახორციელა პროექტი "ივანე ჯავახიშვილი, ხოვლე და ქართული უნივერსიტეტი".

საინტერესო მოხსენება "პირველი საგანმანათლებლო კერა სოფელ ხოვლეში" — დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა მეათეკლასელმა სოფო ყურაშვილმა, სოფლის ისტორიაზე ისაუბრეს მოსწავლეებმა: ნაზი ხათაშვილმა, მარი ყურაშვილმა, ნიკა ყურაშვილმა და მარადი ედიშერაშვილმა, თემაზე "პირველი უნივერსიტეტელები ხოვლიდან" — ისაუბრეს მოსწავლეებმა საბა ხიზანიშვილმა და გელა ბიჭიკაშვილმა, ღონისძიებაში მონაწილეობდნენ აგრეთვე, მერვე კლასის მოსწავლე ოთარ გოგინაშვილი და მეცხრეკლასელი ლიკა პაპინაშვილი.

მოსწავლეების ორგანიზებითა და მონაწილეობით განხორციელებული პროექტით აღფრთოვანებული, ძალიან კმაყოფილი დარჩა ღონისძიებაზე საგანგებოდ მოწვეული სტუმარი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის ცენტრის ხელმძღვანელი დავით სართანია, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა და სახლ-მუზეუმს საჩუქრად გადასცა დიდი მეცნიერისა და უნივერსიტეტის საიუბილეო თარიღებისადმი მიძღვნილი საკუთარი წიგნები.

ღონისძიებაზე საინტერესო მოგონებებით გამოვიდნენ ხოვლის მკვიდრი, ფოლკლორული ანსამბლის, "მოურავის" ხელმძღვანელი გივი ბახტაძე და გიორგი ბიჭიკაშვილი. სიტყვები წარმოთქვეს პედაგოგებმა ნ. გოგინაშვილმა, ე. მერებაშვილმა და ე. მამულაშვილმა.

ღონისძიების ბოლოს მოწვეულ სტუმრებსა და მოსწავლეებს, მათ მშობლებსა და პედაგოგებს სამადლობელი სიტყვით მიმართა კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანების დირექტორმა გივი მელაძემ, რომელმაც დადებითად შეაფასა მუზეუმში გამართული შეხვედრა.

კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება.

სპორტული მაისის დღიური

კასპის სპორტული კომპლექსი

20 მაისი: ჭიდაობაში ღვაწლმოსილი მწვრთნელის, ნუგზარ მამულაშვილის, ექვსმა შეგირდმა ქ. ლაგოდეხში ჩატარებული ჭაბუკ ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირიდან 6 მედალი წამოიღო.

20 მაისი: ქ. მცხეთაში გამართული ქართული სტილის მოჭიდავეთა ახალგაზრდული შესარჩევი ტურნირის 3 გამარჯვებული და ამდენივე პრიზიორი ივნისის დასაწყისში ქ. ახალციხეში იასპარეზებს საქართველოს პირველობაზე.

20 მაისი: კარატე-დოს კლუბი "კასპის" ოთხმა ნორჩმა სპორტსმენმა წარმატებით იასპარეზა თბილისის ღია პირველობაზე და სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში 6 საპრიზო ადგილი დაიკავა.

20 მაისი: სოფელ აღაიანში აღინიშნა წმინდა ნინოს ხსენების დღე. სახალხო-საეკლესიო დღესასწაული დაამშვენა ახალგაზრდულმა ტურნირმა ქართულ ჭიდაობაში.

19 - 20 მაისი: 11 წლის ცოტნე ბახტაძემ საერთაშორისო ტურნირზე უმცროსი ასაკის ძიუდოისტთა შორის ბრწყინვალე გამოსვლით პირველი ადგილი დაიკავა. მან 5 მეტოქე "წმინდად" დაამარცხა, მათ შორის ფინალურ შეხვედრაში რუსი. ცოტნეს წარმატების აღსანიშნავად საბერძნეთის დედაქალაქ ათენის სპორტის სასახლეში ქართული ჰიმნი გაჟღერდა (მწვრთნელი ბერდია ნატროშვილი).

საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის წარმომადგენლობითი ჯგუფი კასპის სპორტკომპლექსში.

19-18 მაისი: 14-წლიანი ჭაბუკი კალათბურთელების გუნდი (მწვრთნელი დავით ჯინიყაშვილი) საქართველოს საკალათბურთო პირველობის "ბ" ლიგაში თავის ჯგუფში წარმატებით გამოვიდა და გათამაშების შემდგომ ეტაპზე გავიდა.

18 მაისი: საბერძნეთის დედაქალაქ ათენში, ევროპის პირველობაზე ჭიდაობა სამბოში მე-3 საპრიზო ადგილი დაიკავა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა ბექა ბერძენიშვილმა, 2016 წლის ევროპული გათამაშების გამარჯვებულმა და მსოფლიო მე-3 პრიზიორმა.

17 მაისი: სპორტკომპლექსში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის წარმომადგენლობითი ჯგუფი, მისი პრეზიდენტის პაატა გურასპაულის მეთაურობით.

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებთან და ადგილობრივ დირექციასა და მწვრთნელებთან ორივე მხარისათვის საინტერესო და სასარგებლო მოლაპარაკება გაიმართა. დაისახა სამომავლო სამუშაო გეგმა.

13-12 მაისი: თბილისური "ლიდერის თასზე" გამართული 10-13 წლის მოზარდების საერთაშორისო ტურნირში ბერდია ნატროშვილის აღსაზრდელებმა ერთი პირველი და ორი მეორე ადგილი დაიკავეს.

9 მაისი: იოსებ მამულაშვილის შეგირდებმა თავი გამოიჩინეს სოფელ ძალისში (მცხეთა) გამარჯვების დღისადმი მიძღვნილ ჭაბუკთა ტურნირში (ქართულ ჭიდაობაში).

5 და 17 მაისს კასპელმა მოქმედმა და ვეტერანმა მოჭიდავეებმა პატივი მიაგეს გარდაცვლილი მეგობარი მოჭიდავეებისა და მწვრთნელების — ფირუზ (ანზორ) მარტყოფლიშვილისა და ვახტანგ შუბითიძის ნათელ ხსოვნას.

გინდათ, გაეცნოთ საქმიან და მნიშვნელოვან ცვლილებებს ქვეყნისა და მუნიციპალიტეტის ცხოვრებაში?
გინდათ, გაიგოთ ექსპერტთა მოსაზრებები საქართველოს ცხოვრების პერსპექტივაზე?
შეიძინეთ თქვენი ქალაქის ისტორია,
გახდით ჩვენი მკითხველი!

“დიდგორი”- 35 წელი სცენაზე

საზეიმოდ აღინიშნა დავით ჯავრიშვილის სახელობის ბავშვთა სახალხო, სახალხო-სანიმუშო ცეკვის აკადემია “დიდგორის” დაარსებიდან 35 წლის საიუბილეო საღამო. კულტურის სახლის დარბაზი მაყურებელს ვერ იტევდა, აქ იყვნენ დიდგორელთა თითქმის ყველა თაობის მოცეკვავეები, ქართული ქორეოგრაფიის თაყვანისმცემლები და დედაქალაქიდან მოწვეული სტუმრები: საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირის თავმჯდომარე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე რევაზ ჭანიშვილი, მისი მოადგილე კახაბერ მარკოიშვილი, ქორეოგრაფიის კავშირის წარმომადგენელი გოჩა გრძელიშვილი, საქართველოს ეროვნული ქორეოგრაფიული ცენტრის თავმჯდომარე ზაზა მჟავანაძე, სერგო ზაქარიაძის სახელობის ტრადიციული და გამოყენებითი ხელოვნების კოლეჯის დირექტორი მზია აფრიდონიძე, მისი მოადგილე ცირა ამაშუკელი, ქორეოგრაფიული განყოფილების მთავარი სპეციალისტი თინათინ ქოიავა, /რომელმაც “დიდგორი” საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით სიგელით დააჯილდოვა/, სასცენო მოძრაობის ხელმძღვანელი შოთა გეგიაძე, საქმის წარმოების სპეციალისტი თემურ ვაშაკიძე... ოვაციებისა და საზეიმო შეძახილების ფონზე დარბაზს მიესალმა ცნობილი მსახიობი და ტელეწამყვანი ზაზა ალექსიძე, რომელმაც მაყურებელს აუწყა, რომ — “იწყება საიუბილეო, ზღაპრული საღამო, “სცენაზეა “დიდგორი”, “დიდგორი”-2, “დიდგორი”-3, “დიდგორი”-4...

მუდმივი სიახლის ძიებას მიჩვეულმა, ინოვაციების “მფლობელმა” დიდგორელებმა მაყურებელს საიუბილეო კონცერტზე, რა თქმა უნდა, განახლებული პროგრამა / განსხვავებული და დახვეწილი, თვალისმომჭრელი სამოსით/ წარუდგინეს, შესრულდა 14 ცეკვა, ძველს დაემატა ახალი ცეკვები, მაგალითად, “ქალთა ხორუმი”, “სვანური ცერულით”, “ჩეჩნური”, “რაჭა ჩემი სიყვარულია”... დარბაზში ოვაციები არ ცხრებოდა, კონცერტი ორ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა, მქუხარე აპლოდისმენტები ახლდა ანსამბლის მთავარი ქორეოგრაფის — ამაგდარისა და ქორეოგრაფიის დესპანის მფლობელის მარინა რუსიშვილის მიერ თავის მოსწავლესთან, გიორგი ნონიაშვილთან შესრულებულ “ქართულს” და ქორეოგრაფის, “დიდგორის” მეხუთე და მეექვსე თაობის სოლისტის დარინა პაპაშვილის “აჭარულს” (შეასრულა თავის მოსწავლე თენგო ბერიანიძესთან ერთად).

— ანსამბლი “დიდგორი” 1983 წელს “დაიბადა”, თქვენ წარმოიდგინეთ, მისი სახელწოდებაც მაშინ შეირჩა და ეს იდეა სულმნათი ხელოვანის, ქართული ფოლკლორის დიდი მოამაგის ომარ კელაპტრიშვილის ოჯახში, მისივე რჩევით გადაწყდა, — წლებისწინანდელ ამბავს სიამოვნებით იხსენებს ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი, ბრწყინვალების ორდენის კავალერი ქეთევან მონასელიძე და დასძენს, — მთელი ჩვენი კოლექტივი და მოცეკვავეები, მათი მშობლები არასოდეს დავივიწყებთ ქართული ქორეოგრაფიის კორიფეს, საქართველოს სახალხო არტისტს ბატონ რევაზ ჭოხონელიძეს, რომლის უდიდესი ძალისხმევითა და პროფესიონალური დახმარებით ჩამოყალიბდა ანსამბლი და იგი დღემდე ინარჩუნებს ლიდერის იმიჯს.

ანსამბლი “დიდგორი” 1985 წლიდან არის ფოლკლორისა და ტრადიციული ხელოვნების საქართველოს ეროვნული “სიოფის” წევრი, ხოლო მომდევნო წელს კულტურის სამინისტრომ მას მიანიჭა “სახალხოს” საპატიო წოდება. 1997 წელს ანსამბლმა დაიმსახურა პირველი მსოფლიო საყმაწვილო “დელფიადის” სერტიფიკატი, ნამდვილი აღიარება, პრესტიჟული გახლდათ მოცეკვავეებისათვის და არა მარტო მათთვის ცნობა იმის შესახებ, რომ 1998 წელს კულტურის სამინისტრომ ანსამბლს მიანიჭა ჩვენი თანარაიონელის, სახელგანთქმული ქორეოგრაფის, საქართველოს სახალხო არტისტის დავით ჯავრიშვილის სახელი... 2001-2002 წლებში ”დიდგორი” მონაწილეობდა შავი ზღვის აუზის ქვეყნების საერთაშორისო ფესტივალზე და დაიმსახურა დავით ჯავრიშვილისა და ილიკო სუხიშვილის პრიზები. 1994-2003 წლებში ანსამბლი გამოდიოდა რესპუბლიკურ კონკურსებში და მექართულეებმა მიიღეს პრიზები, 2006 წელს “დიდგორი” მონაწილეობდა ილიკო სუხიშვილის დაბადებიდან ასი წლისთავისადმი მიძღვნილ გალა კონცერტში, 2011 წელს კი, გახდა რესპუბლიკური “მფრინავი” რაშის გრან-პრის მფლობელი და დაჯილდოვდა ათასლარიანი მუსიკალური აპარატით, 2013 წელს ქალაქ გორში გამართულ საერთაშორისო ფესტივალზე, ლატარიით მოიგო თურქეთის სახალხო რესპუბლიკაში საგასტროლო დაფინანსება, წლების მანძილზე ანსამბლი აქტიურად მონაწილეობდა რესპუბლიკურ კონკურსებში: “ოქროს მართვე”, “ბრავო”, “ფრიდონისეული”, “ბრავო ომარ”, “ზღვის ჰარმონია”... ერთი სიტყვით, “დიდგორი” დაარსების დღიდან ლიდერი ანსამბლია, რომელმაც 800-მდე კონცერტი ჩაატარა, მონაწილეობა მიიღო 170 კონკურს-ფესტივალში, 8-ჯერ მოიპოვა გრან-პრი და 29- ჯერ გახდა საერთაშორისო ფესტივალის მონაწილე, ორჯერ მიიღო წლის საუკეთესო ანსამბლის წოდება, 35 წლის მანძილზე ანსამბლ “დიდგორზე” გამოქვეყნებულია 600 პუბლიკაცია, როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოურ პრესაში, ანსამბლის სახელთან არის დაკავშირებული წარმატებული საგასტროლო მოგზაურობა ბულგარეთში /2-ჯერ/, ერევანსა /ერთხელ/ და თურქეთის /სულ 15 გასვლა/ სახალხო რესპუბლიკაში... ანსამბლმა დაარსების დღი

*დასასრული გვ-10.

ეროვნული ცემოცის დღე

კასპის მუნიციპალიტეტმა ეროვნული სამოსის დღე სოფელ ლამისყანაში ჯამბაკურ-ორბელიანების სასახლე - მუზეუმში აღნიშნა.

სასახლის ეზოში გამოფენილი იყო ნახატები, თექაზე შესრულებული ნამუშევრები, აივნიდან კი ჯამბაკურ - ორბელიანების "ორეულები" თვალყურს ადევნებდნენ მიმდინარე ეროვნული სამოსის დღესასწაულს. კოსტიუმირებულმა თავყრილობამ გააჩინა განცდა, რომ შეკრების დრო საუკუნის წინანდელი იყო...

ეზოში გამართულ სცენაზე მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა შემოქმედებითი კოლექტივი ერთმანეთს სიმღერასა და ცეკვაში ეჯიბრებოდა.

სასახლის ბოლო მეპატრონეები ალექსანდრე ორბელიანი და მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი იყვნენ, რომელთაც იმდროს სოფლის კეთილდღეობისათვის ბევრი კარგი საქმე ითავეს და შეასრულეს კიდეც. მარტო ის რად ღირს, რომ სოფელს ჰქონდა "პოჩტამტი", სამედიცინო ოთახი თავისი ექიმით, რამდენიმე წყარო. ეროვნული სამოსის დღემ კიდევ ერთხელ აახმიანა ჯამბაკურ-ორბელიანთა ისტორიული სასახლე. სასახლე რომელიც ჩვენი სამშობლოს საინტერესო ისტორიის შუქ-ჩრდილებს ინახავს.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

ფოტო-

,,ახალი გვნთიავლი,, იძიებს ყველა ცოცხალ ადამიანს ჩვენი ცხოვრების ფოტო-მატიანის შექმნაში. თხოვნით მივმართავთ თანამოქალაქეებს - ლაღი თვალი თქვენი ყველა ჩვენს მატიანეში! გამოგვიგზავნეთ ყველა ფოტოები!

ხსოვნა

ლალი პავლიაშვილი

ლალი, ჩვენო ერთგულო კოლეგა, უღალატო მეგობარო ორი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენთან აღარ ხარ.

რაც დრო გადის უფრო და უფრო გვენატრები ყველას, უშენოდ თითქოს ყველაფერი გაუფერულდა, შენ ხომ ჩვენს ცხოვრებას ავსებდი და ალამაზებდი, ერთგულებდი, მხარში ედექი შენს საყვარელ მოსწავლეებს, რომლებიც სინანულითა და დიდი მონატრებით იხსენებენ შენი ინიციატივითა და ორგანიზებით განხორციელებულ სანახაობრივად ლამაზ, შემეცნებით, საინტერესო პროექტებს, რომელშიც მთელი სკოლა მონაწილეობდა...

ჩვენო ლალი, ძალიან გვენატრები, ყველას გვახსოვს შენი გულისხმიერება და უშურველობა, ცხოვრებას უშენოდ ვაგრძელებთ შენს მიერ დატოვებული სიკეთითა და სიყვარულით.

უფალს შევთხოვთ ღვთიური მადლი ეფინოს მარად შენს სამუდამო სამყოფელს.

ქვემო გომის საჯარო სკოლის პედკოლექტივი.

,,დიდგორი,, -35 წელი სცენაზე

დასასრული.

დან ოთხი ათას 500 აღსაზრდელი აზიარა ჭეშმარიტ ქორეოგრაფიას, ცეკვის გარდა დიდგორელები უდიდეს ყურადღებას უთმობენ სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობას, ბავშვები სწავლობენ ცეკვისა და ქართული ქორეოგრაფიის ისტორიას, სამშობლოსა და ერთმანეთის სიყვარულს, პატივისცემას... ცეკვის აკადემია "დიდგორის" მესვეურები და მოცეკვავეები, მათი მშობლები კმაყოფილებას, უდიდეს მადლიერებას გამოხატავენ და გულითად მადლობას უხდიან კასპის მუნიციპალიტეტის მერს მანუჩარ მერებაშვილს, მის მოადგილეს თამაზ ტატანაშვილს მუდმივი მხარდაჭერისა და თანადგომისათვის, მადლობას უხდიან აგრეთვე, ქალაქის კულტურის ცენტრის თანამშრომლებს, ხმის ოპერატორს მიხეილ ქოსაშვილს, რომლებმაც ძალიან მოინდომეს, რომ საიუბილეო საღამო მაღალ დონეზე ჩატარებულიყო.

დაბოლოს, ცნობილი გახდა ისიც, რომ 35 წლის "დიდგორი" უახლოეს ხანში საგასტროლოდ მიემგზავრება თურქეთის სახალხო რესპუბლიკის ქალაქ უშადასში, სადაც იმართება საერთაშორისო ფესტივალი.

იმედი ვიქონიოთ, რომ დიდგორელები ამჯერადაც ასახელებენ მშობელ ქვეყანას...

რუსუდან ხეჩუაშვილი.

როცა მშობლებს არ სწავლიათ...

ნლებია ვცდილობთ თქვენთვის საინტერესო თემებზე გესაუბროთ, უფრო სწორად, ისეთ რამეებზე და ისეთ ვინმეებზე, რომელთა შესახებ მშობლებს ეზარებათ (ან არ სწავლიათ!) რომ გიამბონ.

თქვენ ახლა უფრო ბევრი იცით ვიდრე შარშან და თუ ხშირად წაიკითხავთ ჩვენს გაზეთს, მართლაც, ბევრ საინტერესო და სასიამოვნო სიახლეს შეიტყობთ მსოფლიოში გაფანტულ საბავშვო მუზეუმებსა თუ ატრაქციონებზე, წყალქვეშა სასახლეებსა და ალპებში "დამალულ" საგანძურზე... წინ მოულოდნელად საინტერესო შეხვედრები გელოდებათ, ოღონდ ამისათვის აუცილებლად უნდა გამოინეროთ ჩვენი გაზეთი "ახალი განთიადი"!

მაშ ასე, მობრძანდით რედაქციაში! გაიფორმეთ ხელმონერა, დატოვეთ თქვენთვის საინტერესო შეკითხვები და უახლოეს ნომერში მიიღებთ პასუხს თქვენს საყვარელ რუბრიკაში "კეხურა".

შეგიძლიათ გამოგვიგზავნოთ!

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ

გაზეთი იბეჭდება შ.პ.ს. ქოლორ პრესში

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.
რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი ნანა მერებაშვილი

რედაქციის მისამართი: 2600 ქ ქასპი სააკაძის ქ. № 68
ტელეფონი 22-25-76